საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნოდარ პაპუკაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**20**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**85**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ნოდარ პაპუკაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ნოდარ პაპუკაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: **ნოდარ პაპუკაშვილი**

ასაკი: **45 წლის**

დაბადების თარიღი: **29 ნოემბერი, 1975 წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული (თსუ); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ).**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **13 წელი**

სამუშაო ადგილი: **სრული პროფესორი; სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - თბილისის ღია უნივერსიტეტი; რეაბილიტაციის მმართველი - სს „გუდვილი".**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ნოდარ პაპუკაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელით - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების

შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, სამართლიანობას, პრინციპულობას, მიზანდასახულობას, გაწონასწორებულობას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს, თუმცა ერთი რესპოდენტი ერთი ველში უთითებს, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ნოდარ პაპუკაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125[2] მუხლის პირველი ნაწილი („პარკირების წესების დარღვევა"; ჯარიმა - 10 ლარი; 2 შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა", ჯარიმა - 10 ლარი; 4 შემთხვევა); ასკ-ის 118[1] მუხლი („უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა", ჯარიმა - 40 ლარი; 1 შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი („მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება", ჯარიმა - 50 ლარი; 3 შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილი („მარეგულირებლის, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა", ჯარიმა - 50 ლარი; 1 შემთხვევა). აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

გამოვლენილი სამართალდარღვევებისათვის ჯარიმების დროულად გადახდის ფაქტი და მოძიებული ინფორმაცია **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ იგი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილია, აქვს პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორის ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ნოდარ პაპუკაშვილის მიმართ არ მოიპოვება ინფორმაცია, რომელიც დაზარალებულად ცნობას უკავშირდება.

- სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა ორ სამოქალაქო საქმეში:

1) დავის საგანი - თანხის დაკისრება, შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.
2) დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება, შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა, მხარეთა მორიგების გამო.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის ქცევა მკვეთრად იყოს მოქცეული ეთიკის ნორმებში, რაც მიუთითებს, რომ მას აქვს საკუთარი ქცევის მართვის კარგი უნარი.

აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>4</u>. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის **მიუკერძოებლობაზე, კეთილსინდისიერებაზე, სამართლიანობაზე, პრინციპულობაზე, მიზანდასახულობასა და გაწონასწორებულობაზე.**

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, ნოდარ პაპუკაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. სამართლის ნორმების ცოდნა;
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
4. პროფესიული თვისებები;
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
6. პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების

შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ხასიათდება კარგი პროფესიონალიზმით, აქვს საკონსტიტუციო სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების კარგი ცოდნა, ასევე სამართლის ფილოსოფიის სიღრმისეული ცოდნა, თუმცა კანდიდატი ნაკლებად იცნობს საერთო სასამართლოების პრაქტიკას და საპროცესო სამართალს, რამაც არსებითად იმოქმედა ჩემს შეფასებაზე.

გასაუბრების პროცესში კანდიდატმა სიღრმისეულად ისაუბრა სახელმწიფოს მოწყობის საკითხებზე; ბუნებით სამართალზე, პოზიტივიზმზე, განავრცო თომას ჰობსის, მაქს ვებერის, ჯონ ლოკის თეორიები, ისაუბრა თავისუფლების თეორიაზე, შეეხო კანტის თეორიას ღირსების პრინციპებზე. ღირსების საკითხზე დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატმა საინტერესო მსჯელობა განავითარა ამავე უფლებაზე წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტში. კანდიდატმა საინტერესოდ იმსჯელა რწმენის, აღმსარებლობის საკითხებზე და ამ თვალსაზრისით შეეხო პაციფიზმის, პროზილიტიზმის თემებს.

კანდიდატმა ასევე გამოავლინა ქართული სამართლის ძეგლების ცოდნა და იმსჯელა სამართლით სახელმწიფო ხელისუფლების ბოჭვის პრინციპებზე.

არაზუსტი და ხარვეზიანი იყო კანდიდატის მსჯელობა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მართალია, შეკითხვა არ შეეხებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსს, თუმცა განმარტება, რომელიც აღნიშნულთან დაკავშირებით კანდიდატმა გააჟღერა, ადასტურებს, რომ იგი ნაკლებად იცნობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტს. არასწორი იყო კანდიდატის პასუხი წინასასამართლო სხდომასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე. ამასთან, კანდიდატმა ძირითადად ვერ გაიხსენა საერთო სასამართლოების პრაქტიკა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს იურიდიულ სფეროში მუშაობის 13 წლიანი გამოცდილება გააჩნია.

- შევისწავლე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატია „მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ზოგადი მიმოხილვა".

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატია და გასაუბრების ეტაპზე კანდიდატზე დაკვირვება, მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ ნოდარ პაპუკაშვილი აზრს გადმოცემს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, რაც მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატს აქვს წერისა და კომუნიკაციის კარგი უნარი, საუბრობს მშვიდად და გაწონასწორებულად, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მის მიერ გასაუბრების დროს გაცემული პასუხები იყო ძალიან ვრცელი და ატარებდა უფრო სალექციო ფორმატის სახეს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

შემოწმებული მასალების საფუძველზე მიმაჩნია, რომ ნოდარ პაპუკაშვილი არის პუნქტუალური, ორგანიზებული და შრომისმოყვარე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატი არის სრული პროფესორი, აქტიურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

- ნ.პაპუკაშვილმა 2001 წელს დაამთავრა „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" ეკონომიკის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი.
- კანდიდატი 2018 წლიდან არის „ბიზნესის გადახდისუუნარობის მმართველთა" ასოციაციის დამფუძნებელი/წევრი, ხოლო 2015 წლიდან „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის" წევრი.
- მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 2006წ.
- მიღებული აქვს მიხეილ ქურდაძის სახელობის სტიპენდია, 1996წ.
- ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

კანდიდატი ასევე აქტიურად ესწრება სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ლექცია/სემინარებს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **10 ქულით.**

6. პროფესიული აქტივობა

კანდიდატი არის არაერთი ნაშრომის ავტორი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **5 ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 85 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.